კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Bachelor in Health Care Management

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	უმაღლესი

სწავლების ენა	პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	ბიზნესის ადმინისტირების ბაკალავრი მენეჯმენტში
ინლისურად:	Business Administration Bachelor in Management
პროგრამის ხელმძღვანელი	მაია გონაშვილი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

	საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ– 60 ECTS კრედიტს, სემესტრში 30 ECTS კრედიტს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებით. პროგრამის ოპტიმალური ვადა შეადგენს 4 წელს, ხოლო დასაშვები ვადაა 6 წელი. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. პროგრამაში საგნების განაწილება ეფუძნება შინაარსობრივ თანამიმდევრობას და ლოგიკას, გამოყენებულია საგნებს შორის წინაპირობის დაცვის პრინციპი, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების სტუდენტისთვის მიღების საშუალებას. პროგრამა შედგება ბიზნესისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდულებისაგან როგორც სპეციალობის სავალდებულო საგნების, ისე სპეციალობის არჩევითი საგნებისაგან. 240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება: ➢ 60 კრედიტი არის ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები; ➢ 120 კრედიტი არის ძირითადი პროგრამიდან (Major); ➢ 60 კრედიტი მეორე პროგრამიდან (Minor) ან ➢ 60 კრედიტი სკოლის არჩევითი საგნებიდან ან მაქსიმუმ 20 კრედიტი თავისუფალი კრედიტების საუნივერსიტეტო საგნებიდან. ბიზნესის მოდული მოიცავს ძირითად და არჩევით საგნებს, რომლებიც განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ზოგადი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად. მოდული შედგება 10 საგნისგან, აქედან სავალდებულოა 4 საგანი და 6 არჩევითიდან უნდა აირჩიონ 3. ბიზნესის მოდულის საგნების გავლის შემდეგ სტუდენტი აგროვებს 35 კრედიტს. ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდული მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით 25 საგანს, რომელთაგან სავალდებულოა 7, ხოლო 10 საგანს ირჩევს სტუდენტი 18 საგნიდან. ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდულის საგნების გავლის შემთხვევში სტუდენტი აგროვებს 85 კრედიტს. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია სავალდებულო პროექტის მომზადება ჯანდაცვის მენეჯმენტში და პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე მიღება წარმოებს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. მეოთხე გამოცდად მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის ან გეოგრაფიის ჩაბარების შემთხვევაში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში.

პროგრამის მიზანი	კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის სკოლის მისიაა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, თანამედროვე მიდგომების და ღირებულებების დანერგვა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების, პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციების, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდებით. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობისათვის მაღალკვალიფიციური ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ჯანდაცვის მართვის ზოგადი და ფართო ცოდნა, რაც ჯანდაცვის მართვის მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, კვლევის ძირითადი მეთოდების დაუფლებას მოიცავს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მუდმივად ცვალებად შრომით ბაზარზე ყველაზე მეტად მოთხოვნადია ისეთი ტრანსფერული უნარები, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასებისა და შემოქმედებითად გადაჭრის, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი, რომელთა შემუშავებისკენაა მიმართული ბაკალავრიატის საბაზისო მოდული.

პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამა საქართველოში ჯანდაცვის მართვის სისტემაში ჩართული პრაქტიკოსების, სპეციალისტების, ჯანდაცვის სექტორში დამსაქმებლებისა და საზღვარგარეთ ჯანდაცვის ადმინისტრირების წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით ადგენს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ შემდეგი შედეგის მიღწევას: საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები: ზოგადი კომპეტენციები: დასკვნის უნარი - ჯანდაცვის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, ანალიზის უნარი; დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. კომუნიკაციის უნარი - ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციის უნარი; • შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის უნარი; • შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება; • შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით; • შეუძლია კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა / პრეზენტაცია. • სწავლის უნარი - საკუთარი სწავლის პროცესის შეფასების და სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი • ღირებულებები - ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, შეისწავლოს ჯანდაცვის სფეროს ღირებულებები, ჯანდაცვისა და ფარმაციის მენეჯმენტში ქცევის ეთიკური ნორმები და მორალური პრინციპები. დარგობრივი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება - ჯანდაცვის ადმინისტრირების ფართო ცოდნა; • სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, ჯანდაცვის სამართალის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის, ჯანდაცვის ეკონომიკის, მართული დახმარების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, ჯანდაცვის მართვის კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი • სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის მეთოდების გამოყენება ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად; • სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, ჯანდაცვის სამართალის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
დასაქმების სფეროები	ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის გავლის შემდგომ ბაკალავრს შეუძლია დაიკავოს საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერის თანამდებობა ბიზნესის სექტორში, ასევე შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში და არასახელმწიფო სექტორში (პირველადი ჯანდაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჰოსპიტალური, შემდგომი სპეციალიზირებული მომსახურების, ფარმაცევტული, სადაზღვევო და სხვა დაწესებულებები) სხვადასხვა მიმართულებებისა და დონის მენეჯერის პოზიციებზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს: ➢ მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ➢ ყოველკვირეულ შეფასებას ➢ შუა სემესტრულ შეფასებას; ➢ საბოლოო/დასკვნითი გამოცდის შეფასებას; სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით: (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100% (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%. თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპრსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი , შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდი, ახსნა-განმარტების მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი (brainstorming), სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვ. სწავლება და სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
საქართველოს ისტორია	საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიას უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. იგი წარმოადგენს ლექციების ადაპტირებულ კურსს, სადაც განხილულია როგორც ზოგადი საკითხები - ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ქართველების ეთნოგენეზი და ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის, ასევე ძირითადი საკითხები - ქართველი ხალხის (ზოგჯერ, მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები.	სავალდებულო	5	I
ქართული წერისა და მეტყველების კულტურა	კურსი ორიენტირებულია აუმაღლოს სტუდენტებს ქართულად წერისა და მეტყველების კულტურის დონე და დაეხმაროს აკადემიური ნაშრომის უნარ-ჩვევების განვითარებაში, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად აწარმოონ აკადემიური კვლევა. სტუდენტები შეასრულებენ სპეციალურ სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს უწყობს ზეპირი და წერითი მეტყველების დახვეწას; ისინი შეისწავლიან საქმიანი ქაღალდების (CV-ის, განცხადებების, სამოტივაციო წერილის...) შედგენას; გამოუმუშავდებათ აზრის მწყობრად, არგუმენტირებულად და გამართულად ჩამოყალიბების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების უნარები, წერილობითი ნაშრომისა მომზადებისა და სათანადოდ გაფორმების უნარი. სტუდენტები მოაწყობენ პრეზენტაციებს, დისკუსიებს, რაც ხელს შეუწყობს საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კურსის ბოლოს სტუდენტები წარმოადგენენ ყველა აკადემიური წესის დაცვით შესრულებულ 10 გვერდიან თემას.	სავალდებულო	5	I
საინფორმაციო სისტემები	კურსი უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლას, ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოცავს შემდეგ თემებს: ინფორმაცია, კომპიუტერის არქიტექტურა, ოპერაციული სისტემა, ინტერნეტ-ტექნოლოგიები, საოფისე პროგრამები, დარგისთვის სპეციფიკური პროგრამები.	სავალდებულო	5	I

პრეკალკულუსი	კურსი წარმოადგენს სავალდებულო წინარეკვიზიტ საგანს, მათთვის ვისაც მათემატიკა არ ჩაუბარებია მისაღებ გამოცდებზე, ან ჩააბარა და მიიღო 26 ქულაზე ნაკლები შეფასება. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სიმრავლეთა თეორიის და ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის ძირითადი ცნებების და თვისებების, რიცხვითი ფუნქციის ცნების და თვისებების შესწავლის საფუძველზე დაწვრილებით განიხილება ძირითადი ელემენტარული ფუნქციები და მათი შემცველი განტოლებების და უტოლობების ამოხსნის ხერხები და მეთოდები. აზროვნების მათემატიკური წესის განვითარების მიზნით განიხილება დებულებათა დასაბუთების მეთოდები.	სავალდებულო	5	I
კალკულუსი **1**	კურსი წარმოადგენს საბაკალავრო მათემატიკური განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. სიმრავლის ცნების და სიმრავლეებზე მოქმედებების, სიმრავლეთა ურთიერთმიმართებების ფუნდამენტური საკითხების შესწავლის საფუძველზე სიღრმისეულად განიხილება რიცხვითი ფუნქციების ცნება და თვისებები: შემოსაზღვრულობა, მონოტონურობა, ლუწობა-კენტობა და შექცევადობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რიცხვითი მიმდევრობების და ფუნქციების ზღვრების ცნებების და თვისებების შესწავლას, ზღვრების გამოთვლის მეთოდებსა და ხერხებს. მიღებული ცოდნის გამოყენებით ხდება ერთი ცვლადის ფუნქციების თვისებების გამოკვლევა და კლასიფიცირება უსასრულოდ დიდ და უსასრულოდ მცირე ფუნქციებად, უწყვეტ და წყვეტილ (პირველი და მეორე გვარის) ფუნქციებად. თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზების მიზნით დაწვრილებით განიხილება წრფივი მათემატიკური მოდელები (დანახარჯების, შემოსავლების, მოგების, მოთხოვნის, მიწოდების და ამორტიზაციის), ფინანსური მათემატიკის ზოგიერთი საკითხი (მარტივი, რთული და უწყვეტი პროცენტი, დისკონტირება), აგრეთვე პოლინომიალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ერთი ალგორითმი.	სავალდებულო	5	I

შესავალი მიკროეკონომიკაში	სასწავლო კურსის მიზნებია: სტუდენტებს გააცნოს ეკონომიკური თეორიის პრინციპები; სტუდენტებს განუვითაროს ეკონომიკური აზროვნებისა და ანალიზის უნარი მიკროეკონომიკურ დონეზე, ჩამოუყალიბოს თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება. ასევე, ეკონომიკურ ლიტერატურაზე მუშაობისა და ეკონომიკური კვლევების განხორციელების ჩვევები, რათა შეძლონ საკუთარი თუ პროფესიული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მოიპოვონ და გამოიყენონ ეკონომიკური ხასიათის საჭირო ინფორმაცია. პროგრამა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: ეკონომიკის ათი პრინციპი, მოთხოვნისა და მიწოდების საბაზრო ძალები, ელასტიკურობა და მთავრობის პოლიტიკა, ბაზრის ეფექტიანობა, ექსტერნალიები, წარმოების ხარჯები, სრულყოფილი კონკურენცია, მონოპოლია, ოლიგოპოლია,მონოპოლისტური კონკურენცია, სამომხმარებლო არჩევანის თეორია	სავალდებულო	5	I
შესავალი ფსიქოლოგიაში	ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებს, ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პიროვნების ქცევაზე, პიროვნების ფსიქიკურ პროცესებზე და თვისებებზე; ასევე განვიხილავთ პიროვნების თეორიებს და სოციალური ფსიქოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სოციალური გავლენა, ჯგუფში მიმდინარე პროცესები, ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა, ჯგუფის გავლენა საქმიანობის ეფექტურობაზე, სოციალური სიზარმაცე, პიროვნებათშორისი ურთიერთობებით გამოწვეული გავლენა: კონფორმულობა, მორჩილება; აგრესიულობა, პროსოციალური ქცევა.	სავალდებულო	5	I I

ფილოსოფია-კრიტიკული აზროვნება	ფილოსოფიის კურის ითვალისწინებს ძველი და თანამედროვე ფილოსოფიური კონცეფციების გაცნობას. კურსში განხილულია ისეთ საკითხები, როგორიცაა: ფილოსოფიის და კონკრეტული მეცნიერებების, ფილოსოფიის და მსოფლმხედველობის სხვა ტიპების (რელიგიის, მითოლოგიის და სხვ.) ურთიერთმიმართების საკითხი. ასევე განხილულია მსოფლმხედველობის დოგმატური და არადოგმატური ტიპები. კურსი ითვალისწინებს ცოდნის მიცემას ფილოსოფიური კატეგორიების და ცნებების შესახებ. ამავე დროს განსხვავებული ფილოსოფიური კონცეფციების გაცნობის პროცესში სტუდენტს უყალიბდება სხვადასხვა პოზიციების ანალიზის უნარი. რაც თავის მხრივ, მისცემს მას საშუალებას არასტანდარტულ გარემოში გამოავლინოს ტოლერანტული მსოფლმხედველობა. კურსის გავლის შემდგომ სტუდენტს შეუძლია თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემებთან დაკავშირებული მრავარიცხოვანი კონცეფციების სინთეზირება და შეფასება, თანმიმდევრული ფილოსოფიური არგუმენტაციისა და ანალიზის ჩამოყალიბება.	სავალდებულო	5	I I
შესავალი მაკროეკონომიკაში	სასწავლო კურსი მოიცავს ეკონომიკის ზოგადი პრნციპების გაცნობას,ეკონომიკის ძირითადი ტერმინებისა და ძირითადი პრინციპების შესწავლას. მაკროეკონომიკის ძირეული მიმართულებების ისეთი თემების განხილვას, როგორიცაა: საერთაშორისო ვაჭრობა; ეროვნული შემოსავლისა და ცხოვრების ღირებულების გამოთვლა; წარმოება და ეკონომიკის ზრდა; უმუშევრობა; დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა; ფული, ინფლაცია, მონეტარული სისტემა; ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა; ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება; მაკროეკონომიკური პოლიტიკა	სავალდებულო	5	II
მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები	კურსი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საგანს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში, რომლიც მოიცავს მართვის თეორიის, პრაქტიკისა და ხელოვნების საკითხებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებულ მართვის დონეებს შორის ურთიერთობებს, მართვის ფუნქციებს. სასწავლო კურსის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: მენეჯმენტის პროცესის, მენეჯმენტი გლობალურ სამყაროში, გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვა–სტრატეგია–ცვლილებები, ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების, კონტროლის და კორპორაციული კულტურის, მოტივაციის, ლიდერობის, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის და კომუნიკაციის ძირითადი საკითხები.	სავალდებულო	5	II

ბიზნესის საფუძვლები	კურსის მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა ბიზნესის არსი, ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ბიზნესი და დაფინანსების წყაროები, ფრანჩაიზინგი, ბიზნესი და გადასახადები, ლოჯისტიკა, როგორ უნდა შემუშავდეს ბიზნეს-გეგმა, თავისი ძირითადი შემადგენელი ნაწილებით, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტები თანამედროვე ბიზნესში, ელექტრონული ბიზნესი.	სავალდებულო	5	II
საჯარო გამოსვლის-პრეზენტაციების ტექსნიკა/ უნარები	ბაკალავრებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საჯარო გამოსვლები და პრეზენტაციები, უნარი არსებული ცოდნის წარმოჩენისა, ზუსტად ამ მიზანს ემსახურება მოცემული საგანიც. პროგრამა ორიენტირებული მისცეს სტუდენტს შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისათვის, რომ მან შეძლოს პრეზენტაციის მომზადება, დისკუსიის წარმართვა და გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, აქტიური მოსმენისა და უკუკავშირის ტექნიკები, არავერბალური კომუნიკაცია, კონფლიქტების ასოციაციებია, გუნდური მუშაობა, პრეზენტაცია.	არჩევითი	5	II
ხარისხის მენეჯმენტი	სასწავლო კურსის მიზანია მომავალმა სპეციალისტებმა შეისწავლონ პროდუქციის ხარისხის მართვის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეკომენდაციები, რათა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა დაექვემდებაროს მუდმივად მოქმედ ხარისხის სისტემას, საერთაშორისო iso9000 სერიის სტანდარტების რეკომენდაციების შესაბამისად. შეძლონ პრაქტიკული ღონისძიებების გატარება ხარისხის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისა და სრულყოფისათვის. გაეცნონ, ხარისხის სფეროში, თანამედროვე ურთიერთობებს შემკვეთსა და მომწოდებელს შორის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, სერტიფიკაციის საკითხებს და ძირითად ნორმატიულ დოკუმენტაციას სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით. შეისწავლონ და გაანალიზონ მსოფლიოს მოწინავე საწარმოთა გამოცდილება თანამედროვე ხარისხის სისტემების, მათ შორის ხარისხის საყოველთაო მართვის (TQM) დანერგვით მიღებული. პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა და მისი შეფასების მეთოდები, პროდუქციის ხარისხის კონტროლი, სტანდარტიზაცია ხარისხის უზრუნველყოფაში და მართვაში, პროდუქციის სერტიფიკაციის საფუძვლები, სამართლებრივი საკითხები ხარისხის სფეროში.	არჩევითი	5	II

ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები,	კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს სპეციალური უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ დაეხმარებათ ჩაწვდნენ სტატისტიკის არსს, ფუნქციებს, მნიშვნელობას, საგნის სწავლების მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეკონომიკური ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომლებიც გამყარებულია ციფრობრივი მონაცემებით, მისი გამოყენების საზღვრებს ბიზნესში, რაც საშუალებას მისცემთ ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად ფართოდ გამოიყენონ სტატისტიკური აზროვნება და მეთოდოლოგია. კურსის შესწავლისას სტუდენტები გაივლიან ისეთ თემებს და საკითხებს, როგორიცაა: სტატისტიკის საგანი და მეთოდი, პირველადი სტატისტიკური მონაცემების მოპოვების და დამუშავების მეთოდოლოგია, სტატისტიკური სიდიდეები, ვარიაციის მაჩვენებლები, დინამიკური მწკრივები, ეკონომიკური ინდექსები, ფასების ინდექსები და ინფლაცია, ეკონომიკური ზრდის სტატისტიკური მაჩვენებლები, მოსახლეობის სტატისტიკა, შრომის ბაზარი, უმუშევრობის და დასაქმების დონის სტატისტიკური მაჩვენებლები.	სავალდებულო	5	III
ჯანდაცვის მენეჯმენტი	კურსის მიზანია, სტუდენტი დაეუფლოს ჯანდაცვის მართვის ძირითად მახასიათებელ ნიშნებს, შეარჩიოს მენეჯმენტის სტილი და დაეუფლოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მართვის ხელოვნებას, რადგან მასზეა დამოკიდებული მიზნების მიღწევა, ორგანიზაციაში მატერიალური და ფსიქოლოგიური კლიმატი, ორგანიზაციის იმიჯი და მისი საქმიანობის ეფექტიანობა.	სავალდებულო	5	III
ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები	სასწავლო კურსის მიზანია ჯანდაცვის ეკონომიკის ფართო, ზოგადი ცოდნის მიცემა. ჯანდაცვის ეკონომიკის მთავარი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების შესწავლა , ჯანდაცვის ეკონომიკის საგანი, ჯანდაცვის ეკონომიკის ძირითადი საკითხები; ჯანდაცვის დაფინანსების სისტემები; ეკონომიკური ურთიერთობები ჯანდაცვის სექტორში; ჯანდაცვის სექტორის რეგულირება.	სავალდებულო	5	III

ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	კურსი შეისწავლის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას, ცვლილებებს სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომებს; ფინანსური ანგარიშგების წარდგენას; ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები; სახელმწიფო გრანტებისა და დახმარებების აღრიცხა; ინვესტიციების აღრიცხვა და საინვესტიციო ქონება; სამშენებლო კონტრაქტები; უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოვლენები; მოგებიდან გადასახადის აღრიცხვა; დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები და საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების აღრიცხვა; სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები; ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება; ამასთან, სასწავლო კურსის მიზანია ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების სწავლება საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით და ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების პრაქტიკული რეალიზაციის უნარის გამომუშავება. ჯანდაცვის ორგანიზაციის, როგორც სამეურნეო სუბიექტის, საინფორმაციო სისტემის - აღრიცხვის დაგეგმვა, წაკითხვა და მომზადება; მართვაში აღრიცხვის მეცნიერების ადგილისა და როლის განსაზღვრა; აღრიცხვის, როგორც საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ფუნციონირების დანიშნულების შესწავლა ორგანიზაციებში; ფინანსური ინფორმაციის შეგროვების, დაჯგუფების და ანალიზის შესწავლა; ორგანიზაციის, ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ანალიზი.	სავალდებულო	5	III
მენეჯერული აღრიცხვის პრინციპები	მენეჯერული აღრიცხვა წარმოადგენს აღრიცხვის (ბუღალტერია) მეცნიერების ნაწილს, რომელიც ფოკუსირებულია მენეჯერეული ინფორმაციის მოპოვებაზე, დამუშავებაზე, განზოგადებასა და გამოყენებაზე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ხელს უწყობს ეფექტიან, ეკონომიურ და ეფექტურ მმართვას. კურსის ფარგლებში განხილული იქნება ხარჯთაღრიცხვის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები. ორგანიზაციის კონტროლის ინსტრუმენტები. მმართველობითი მონაცემების შეგროვების ხერხები და მათი ინტერპრეტაციის მეთოდები. სტუდენტებმა შეისწავლონ, ღირებულების ზრდის მუდმივი გაუმჯობესებების დაგეგმვა, შემუშავებასა და გაზომვას, ოპერიერებასა და განხორციელებას, როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ სისტემებში, რომელიც საფუძვლად უდევს მენეჯემენტის მოქმედებას, ახდენს ქცევის მოტივირებას და ხელს უწყობს კულტურული ღირებულების შექმნას, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის სტრატეგიული ტაქტიკური და ოპრეტიული მიზნების მისაღწევად.	არჩევითი	5	IV

ჯანდაცვის მარკეტინგის საფუძვლები	სასწავლო კურსის მიზნების განხორციელებისათვის საჭიროა ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: მომხმარებლებთან მომგებიანი ურთიერთობების მართვა; კომპანია და მარკეტინგული სტრატეგია: პარტნიორობა მომხმარებლებთან ურთიერთობის აგებისთვის; მარკეტინგული გარემო; მარკეტინგული ინფორმაციის მართვა; მომხმარებლისა და ქცევა; სეგმენტაცია; მიზნობრივი ბაზრის შერჩევა და პოზიციონირება: მომხმარებელთან სწორი ურთიერთობის აგება; პროდუქტი, მომსახურება და ბრენდინგის სტრატეგია; ახალი პროდუქტის განვითარება და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სტრატეგიები; სადისტრიბუციო არხისა და მომარაგების ჯაჭვის მართვა; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია: რეკლამა, გაყიდვის სტიმულირება და საზოგადოებრივი ურთიერთობები; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია: პერსონალური გაყიდვა და პირდაპირი მარკეტინგი; მომსახურება და სერვისი;	სავალდებულო	5	IV
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ჯანდაცვაში	სასაწავლო კურსის მიზანია თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდების გამოყენებით სტუდენტებისათვის ჯანდაცვაში HR მენეჯმენტის სფეროში ფართო ცოდნის მიცემა, რაც გულისხმობს HR მენეჯმენტის მთავარ პრინციპების, წამყვანი თეორიების და კონცეფციების, მეთოდების, ამასთანავე, ჯანდაცვის ორგანიზაციების თანამედროვეობის თვალსაჩინო მაგალითების და „ქეისების“ სწავლებას ბაკალავრებისათვის. იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა, ჯანდაცვაში ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, კორპორაციული კულტურა, ჯანდაცვის პერსონალის შერჩევა, ატესტაცია, მოტივაცია, განვითარება, კორპორაციული სწავლება. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:	სავალდებულო	5	IV
დაზღვევის შესავალი	მოცემული კურსის მიზანია მისცეს სტუდენტებს დაზღვევის მთავარი პრინციპების, კონცეფციების და თეორიების ფართო, ზოგადი ცოდნა. აქ განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ზარალი; დაზღვევა. სადაზღვევო ურთიერთობებში მონაწილე მხარეები; დაზღვევის ობიექტი; სადაზღვევო დაფარვა, პერიოდი; სადაზღვევო ტარიფი, სადაზღვევო პრემია; სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო შემთხვევა; სადაზღვევო პროდუქტი; ანდერაიტინგი; სადაზღვევო ხელშეკრულება; სადაზღვევო პრეტენზიები; გადაზღვევა; სადაზღვევო რეზერვები.	არჩევითი	5	IV

უსაფრთხო გარემო და ჯანდაცვა	კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს თანამედროვე მიდგომები გარემოს (ფიზიკური, ბიოლოგიური, ქიმიური,) გავლენის შესახებ საზოგადოების ჯანმრთელობაზე. ასწავლოს მას ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების ეკოლოგიური ასპექტები, ანთროპოგენული დამაბინძურებლების გარემოში გავრცელების წყაროები და მათი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოს ფაქტორების რისკის შეფასება და მართვა. ძირითადი თემებია: წყალი და ჯანმრთელობა, ჰაერი და ჯანმრთელობა, საჰიფათო ნარჩენები და ჯანმრთელობა, კვება და ჯანმრთელობა.	არჩევითი	5	IV
შესავალი ბიოსტატისტიკაში	კურსის მიზანია სტუდენტისათვის სამედიცინო სტატისტიკის ცოდნის მიცემა და მათ პრაქტიკულ საქმიანობაში აღნიშნული დისციპლინების პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა. ინციდენტობის და პრევალენტობის შედარება; ინციდენტობის სახეები: კუმულაციური ინციდენტობა და ინციდენტობის სიმჭიდროვე ანუ ინციდენტობის მაჩვენებელი; სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელი; მიზეზ-სპეციფიკური სიკვდილიანობის მაჩვენებელი; დაავადების შემთხვევის ფატალური გამოსავლის მაჩვენებელი (ლეტალობა); მონაცემთა პრეზენტაცია;	არჩევითი	5	IV
ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები	კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნები და ფუნქციები, რომლებიც დაეხმარებიან ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში გადაწყვეტილებათა მიღებისას. ჯანდაცვის სისტემის შეფასება განხილულ იქნება მართვის, რესურსების განაწილების, სამედიცინო მომსახურების ეფექტურობისა და ეფექტიანობის, ფინანსური, გეოგრაფიული და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის, აგრეთვე რეფორმების თვალსაზრისით და საქართველოში მიმდინარე პროცესების გაითვალისწინებით. (ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება საქართველოში, პირველადი ჯანდაცვის რეფორმა, ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა, სადაზღვევო სისტემის რეფორმა)	არჩევითი	5	IV

საჯარო ფინანსები	სასწავლო კურსი ორიენტირებულია სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე, როგორიცაა: სახელმწიფო ფინანსები, ბიუჯეტის არსი და მისი ფუნქციები, სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო ფინანსების მართვაში, სახელმწიფოს საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო ფინანსების დაგეგმვასთან, მართვასთან, კონტროლთან დაკავშირებული საკითხები, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესის ეტაპები. ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია სახელმწიფოს მიერ საფინანსო რესურსების განაწილებასა და გამოყენებაზე. კურსის ფარგლებში სახელმწიფო ფინანსურ ურთიერთობათა ჩარჩოებში განიხილება სახელმწიფო ბიუჯეტირების პრაქტიკული ასპექტები.	არჩევითი	5	IV
ფინანსური მენეჯმენტი	საგანი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა ბიზნესი, გადასახადები და ფინანსური გარემო; ფულის ღირებულება დროში; გრძელვადიანი ფინანსური ქაღალდების შეფასება,რისკი და სარგებელი; ფინანსური ანალიზის და დაგეგმვის ინსტრუმენტები; ფინანსური ანგარიშგების ანალიზი; ფონდების მოძრაობის ანალიზი; ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზი და ფინანსური ანალიზი; საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტი; ნაღდი ფულისა და ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების მართვა; დებიტორული დავალიანებისა და მარაგების მართვა; მოკლევადიანი დაფინანსება, ინვესტირება კაპიტალურ აქტივებში და ფულადი ნაკადების შეფასება; კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირების მეთოდები; რისკისა და მენეჯმენტის ალტერნატივები კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტირებისას; კაპიტალის ღირებულება; მოთხოვნილი მოგება და კაპიტალის ღირებულება; ოპერაციული და ფინანსური ლევერეჯი; კაპიტალის სტრუქტურა და დივიდენდური პოლიტიკა; შერწყმა და კორპორაციული რესტრუქტურიზაციის სხვა ფორმები.	არჩევითი	5	V
ორგანიზაციული ქცევა	კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ორგანიზაციული კულტურა, ინდივიდუალური ქცევა, მოტივაცია: განსაზღვრება და თეორიები, მეთოდები და გამოყენების გზები, სამსახურეობრივი სტრესი, ჯგუფური და გუნდური ქცევა, კონფლიქტი და მოლაპარაკება, ძალაუფლება და პოლიტიკა ლიდერობა: თეორიები და მოდელები, სამუშაო დიზაინი, ორგანიზაციის სტრუქტურა და დიზაინი, კომუნიკაციის პროცესის მართვა	არჩევითი	5	V

ლიდერობა და გუნდის მართვა	სასწავლო კურსის ძირითადად პრაქტიკულ საკითხებზეა ორიენტირებული და მისი მიზანია გამოუმუშაოს სტუდენტს დამოუკიდებელი სამეცნიერო თუ პრაქტიკული მუშაობის დროს თეორიული ცოდნისა და მიდგომის წესების გამოყენების უნარი. კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ლიდერობის თეორიების სწავლასა და განხილვას და ხელს შეუწყობს მათში ლიდერობის პერსონალური გაგების გამომუშავებას. კურსი აგებულია სტუდენტის მიერ არა მხოლოდ თეორიული ცოდნის საფუძვლიანად შესწავლაზე, არამედ სწავლების დასრულების შემდეგ მას უნდა შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნიდან გამომდინარე განავითაროს საკუთარ თავში ლიდერის უნარჩვევები და გააუმჯობესოს პერსონალური ეფექტურობა, მისი მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ეფექტური მართვისა და დავალებების მიცემის ცოდნა, კრიზისული სიტუაციების მართვისა და კომუნიკაციის წარმატებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, გუნდში მუშაობისა და მოვალეობის განაწილების პრინციპები. გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი, გათავისუფლდნენ კომპლექსებისგან, აღმოაჩინონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ისწავლონ საკუთარი თავის, ორგანიზაციის, გუნდისა და დროის მართვა, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, პრიორიტეტების სწორად დასახვა, სწორი გადაწყვეტილებების მიღება, მოსმენა და ეფექტური კომუნიკაცია, ადამიანებზე დადებითი გავლენის მოხდენა, დამოუკიდებლად მუშაობა და სწორი განაწყვეტილების მიღება, ურთიერთდამოკიდებულება, გუნდური მუშაობა, ორგანიზაციის მართვის საკითხები და ლიდერისათვის საღირო „ოქროს წესები“.	არჩევითი	5	V
ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტი ერთ-ერთი აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსია. დღესდღეობით, ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქაში არცერთ კომპანიას არ შეუძლია არსებობა მკაფიოდ განსაზღვრული განვითარების სტრატეგიის გარეშე. მცირე საწარმოებიც კი განწირულია დაღუპვისთვის, თუ არ აცნობიერებენ თავის როლს დარგში და არ გააჩნიათ გრძელვადიანი პერსპექტივები. კონკურენციის ზრდა, საინფორმაციო ბარიერების არარსებობა, გლობალიზაცია, ყველაფერი ეს მენეჯერებისგან მოითხოვს პროფესიონალიზმს, რაც სტრატეგიული მენეჯმენტის არცოდნის შემთხვევაში შეუძლებელია. კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს ეფექტური მენეჯერული აზროვნების ჩამოყალიბებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული გეგმების შედგენასა და კონკურენტებთან ბრძოლის სტრატეგიების შემუშავებაში.	სავალდებულო	5	V

პროფესიული ინგლისური**1/2**	სასწავლო კურსის მიზანია გააუმჯობესოს სტუდენტის არსებული კომპეტენცია ოთხივე ასპექტში (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი). კურსი სტუდენტებს აცნობს შედარებით მაღალი დონის გრამატიკულ სტრუქტურებს და ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც სცილდება ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებული ლექსიკური მინიმუმის ფარგლებს. ძირითადი აქცენტი კეთდება აზრის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბების უნარის გამომუშავებასა და თემატურად რთული, მოცულობითი მასალის კითხვის უნარ-ჩვევების შექმნაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლექსიკურ მარაგს – დერივატივებისა და კომპოზიტების წარმოებასა და გამოყენებას, იწყება ფრაზეოლოგიზმების საბაზისო მარაგის შექმნა. ლექსიკური მარაგი დაახლოებით 2000 სიტყვაა.	არჩევითი	5	V
ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები	სასწავლო კურსის მიზანია ჯანდაცვის ინფორმაციული სისტემების მართვის ფართო, ზოგადი ცოდნის მიცემა. ჯანდაცვის ინფორმაციული სისტემების მართვის მთავარი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების შესწავლა დაწესებულების მართვის ინფორმაციული სისტემები; ინფორმაცია პროგრამების დაგეგმვისათვის; ინფორმაციული სისტემების პროექტირება	სავალდებულო	5	VI
ფარმაციის პოლიტიკა მენეჯმენტი	სასწავლო კურსის მიზანია ფარმაციის პოლიტიკის ფართო, ზოგადი ცოდნის მიცემა. ფარმაციის პოლიტიკის მთავარი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების შესწავლა, ფარმაციის პოლიტიკის შესწავლა, ფარმაცევტული რეგულაციები, ფარმაცევტული ბიზნესი და მართვა.	არჩევითი	5	VI
ჯანდაცვის დაფინანსების საკითხები	კურსი მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფეროში დაფინანსების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა ჯანდაცვის სისტემის საზღვრები, მიზნები, ფუნქციები. სხვადასხვა სისტემების მიმოხილვა, ჯანდაცვის დაფინანსება, ჯანდაცვის სისტემის შეფასება, ჯანდაცვის სისტემის მართვა, რესურსების განაწილება. სამედიცინო მომსახურების ეფექტურობა და ეფექტიანობა;	არჩევითი	5	VI

ჯანდაცვის მომსახურების მარკეტინგი	ჯანდაცვის მომსახურების მარკეტინგის თავისებურებანი; კლიენტის მონაწილეობა მომსახურების პროცესში; კლიენტებთან კონტაქტების მართვა; მომხმარებელთა ქცევის თავისებურებანი მომსახურების ბაზარზე; ურთიერთობათა მარკეტინგი და მუდმივი კლიენტურის ფორმირება; ჯანდაცვის მომსახურების პროცესის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება; ჯანდაცვის მომსახურების პოზიციონირება; ჯანდაცვის მომსახურების პროდუქტის შექმნა; ფასწარმოქმნის სტრატეგიები ჯანდაცვის მომსახურების სფეროში; მომხმარებელთა ინფორმირება და მოსახურების წინსვლა; მომსახურების სისტემის ფორმირება ადგილის, სივრცისა და დროის ფაქტორების გათვალისწინებით; ჯანდაცვის მომსახურების ღირებულების გაზრდა ხარისხისა და მწარმოებლურობის გაზრდის ხარჯზე; მარკეტინგის მენეჯერის ამოცანები და ფუნქციები; რიგების მართვა და წინასწარი შეკვეთების სისტემები; მოთხოვნა-მოწოდების დაბალანსება.	არჩევითი	5	VI
პაციენტთა უფლებები	წარმოდგენილი კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ჯანდაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების და ეროვნული კანონმდებლობის შესახებ; წარმოაჩინოს ის ინსტრუმენტები, რომლითაც ხდება პაციენტის უფლებათა დაცვა, როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ჯანდაცვის უფლებისა და სხვა სოციალურ უფლებების ურთიერთქმედებას, სტუდენტები გაეცნობიან ჯანდაცვის რეგულირების ინსტრუქმენტებსა და ჯანდაცვის სამსახურების როლსა და ფუნქციებს, აღნიშნულ სფეროში მოქმედ საქართველოს კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს; აგრეთვე ჯანმრთელობის უფლების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს. სტუდენტი უნდა ერკვეოდეს პაციენტთა უფლებების დაცვის ინსტრუმენტების მნიშვნელობასა და მათ ფუნქციონირებაში; უნდა იცოდეს როგორ შეუძლია ინდივიდს მიმართოს ამა თუ იმ ადამიანის უფლებათა დამცავ საერთაშორისო ორგანოს და ერკვეოდეს უფლებათა დაცვის მექანიზმებში; როგორ ფუქნციონირებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემა და რა ძირითად საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობა.	არჩევითი	5	VII

ჯანდაცვის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები	აღნიშნული კურსი ორიენტირებულია არაიურისტებისათვის საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის გაცნობაზე, იმ მექნიზმების თავისებურების გაცნობაზე, რომლითაც დაცულია ადამიანის უფლებები მედიცინაში. კურსის ფარგლებში განხილულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქეთა სოციალური და ინდივიდუალური უფლებების დაცვის უზრუნველმყოფი სამართლებრივი ნორმებისა და ეთიკური პრინციპების საკითხები, პაციენტთა უფლებების სფეროში მოქმედი როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ისე ეროვნული კანონმდებლობა. კურსი მოიცავს ჯანდაცვის უფლების დაცვის საერთაშორისო სამართლის მექანიზმების სრულ სისტემას: როგორც უნივერსალურ მექანიზმებს, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალურ სისტემას, ასევე ჯანდაცვის სფეროში მოქმედ სხვა მექნიზმებს. კურსი შეიცავს პაციენტთა უფლებათა დაცვის სამართლეობრივი ასპექტების შესწავლას, ჯანდაცვის სფეროში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს. კურსის შესწავლისას განხილული იქნება აგრეთვე საექიმო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკანონმდებლო ასპექტები. ჯანმრთელობის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული კონკრეტული სასამართლო საქმეების განხილვა, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. ექიმების სერტიფიცირებისა და სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების საკანონმდებლო რეგულირება; ეთიკური და საკანონმდებლო დილემები სამედიცინო მომსახურებისას (ტვინის სიკვდილი, აბორტი, ორგანოების გადანერგვა, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, ხელოვნური განაყოფიერება, სუროგატული დედობა, ევთანაზია), მათი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები; საექიმო შეცდომა.	არჩევითი	5	VII
ჯანდაცვის კვლევის მეთოდები	სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს ჯანდაცვის სფეროს კვლევითი მეთოდოლოგიები. სტუდენტები გაეცნობიან კვლევის მიზნების ფორმულირებას, კვლევის პარადიგმის შერჩევას, ლიტერატურის მიმოხილვის მომზადებას, მასალების მოძიების სტრატეგიას, კვლევის პროცესის მართვას და მონაცემების შეგროვების შესაბამისი სტრატეგიის არჩევას.	არჩევითი	5	VII

სამედიცინო ტერმინოლოგია **1**	სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს სამედიცინო ენის ლექსიკას, განუმარტავს მნიშვნელოვან ცნებებს, ძირითად ტერმინებსა და აბრევიატურებს. კურსის შესაწავლის საჭიროება უდავოა, რადგან გამომდინარეობს აუცილებლობისგან, ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე ადმინისტრატორებმა და მენეჯერებმა იცოდნენ სამედიცინო ტერმინოლოგიის რიგი თავისებურები. მედიცინის ენა საკმაოდ რთულია, თითოეულ წინდებულსა და თანდებულს თავისი მნიშვნელობა აქვს. პროცესებში ღრმად წვდომა მოითხოვს მის ანალიზს, რაც შეუძლებელია სამედიცინო ცნებების სათანადო ბაზისური ცოდნის გარეშე.	არჩევითი	5	VII
პიარი ჯანდაცვაში	კურსის მიზანი არის მაგისტრანტთათვის სიღრმისეული ცოდნის მიცემა PR მენეჯმენტის, ტექნოლოგიების, სტრატეგიის და ტაქტიკის საკითხებზე ჯანდაცვის სექტორში • რა არის საზოგადოებასთან ურთიერთობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ისტორია და განვითარება • ეთიკა და პროფესიონალიზმი • საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტები • კვლევა PR მენეჯმენტში • PR პოლიტიკის პროგრამული დაგეგმვა • საკომუნიკაციო პოლიტიკა და PR მენეჯმენტი • საზოგადოებრივი აზრი და დარწმუნება • კონფლიქტის მართვა: საკითხების, რისკების და კრიზისული სიტუაციებისათვის თავის გართმევა • მულტიკულტურულ და არაერთგვაროვან აუდიტორიამდე მიღწევა • ახალი ამბების რელიზები, მოკლე შეტყობინებები, საინფორმაციო-საარეკლამო წერილები, მედიაინტერვიუები,პრესკონფერენციები, სიტყვით გამოსვლა • საზოგადოებასთან ურთიერთობა და სამართალი.	არჩევითი	5	VII

პროექტის მენეჯმენტი ჯანდაცვაში	კურსი შეეხება რესურსების ორგანიზებისა და მართვის საკითხებს შესასრულებელ სამუშაოებთან მიმართებაში და ამ რესურსების ეფექტიან განაწილებას განსაზღვრულ მასშტაბში, წინასწარ დაგეგმილ დროით სივრცესა და შეზღუდული ხარჯების პირობებში ჯანდაცვის ორგანიზაციებში. კურსი გათვლილია სტუდენტებისთვის, რომლებსაც არა აქვთ ცოდნა პროექტების მართვის სფეროში და რომელთაც ესაჭიროებათ მენეჯეული უნარების შეძენა. კურსი აღწერს პროექტების იდენტიფიკაციის, შერჩევისა და დაგეგმვის ძირითად სპეციფიკური თემები შეეხება: მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურებს, საპროექტო გუნდის შერჩევის, კომპეტენციათა განსაზღვრის, შრომის დანაწილების პროექტის დაგეგმვის, პროექტის ბიუჯეტირების, რესურსების გადანაწილებისა და კურსის შედეგად სტუდენტები ეუფლებიან პროექტების მართვის ტექნიკასა და მეთოდოლოგიას. ასევე ორგანიზაციებში მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების ხელოვნებას სხვადასხვა მეცნიერული მოდელების გამოყენების საფუძველძე ("PERT"; "CPM").	არჩევითი	5	VII
სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტი,	სასწავლო კურსის მიზანია ჯანდაცვის მომსახურების მენეჯმენტის ფართო, ზოგადი ცოდნის მიცემა, სამედიცინო მომსახურების მთავარი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების შესწავლა. ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის თავისებურებები და სხვა.	არჩევითი	5	VII
სამედიცინო ტერმინოლოგია **2**	სასწავლო კურსის მიზანია სამედიცინო ტერმინოლოგიის ბაზისური ცნებების შესწავლა, რაც საშუალებას მისცემს ჯანმრთელობის სფეროში მოღვაწე მენეჯერებს ეფექტურად განახორციელონ პროცესების მართვა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამედიცინო საქმინობის დაგეგმვასა და განხორციელებაში, დაუბრკოლებლად ისაუბრონ რთული სიტუაციების განხილვისას, გაერკვნენ ინოვაციური მეთოდების რაობაში და მათი განხორციელების აუცილებლობაში. კურსი ასევე მიზნად ისახავს მენეჯერი და ადმინისტრატორი მაქსიმალურად გაათვითცნობიეროს ჯანმრთელობის სფეროსა და უშუალოდ მედიცინაში არსებულ ძირითად პროცესებში, სამედიცინო ტერმინოლოგიის შესწავლასთან ერთად მათ გაუადვილოს სამედიცინო ორგანიზაციის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის განხორციელება.	არჩევითი	5	VIII

პროექტი ჯანდაცვის მენეჯმენტში	საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას სტუდენტი არჩეული ხელმძღვანელის მენტორობის ქვეშ აკეთებს პროექტს ჯანდაცვის მენეჯმენტის სფეროში. პროექტის მიზანია სწავლის პროცესში სპეციალიზაციაში აკუმულირებული მთელი ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.	სავალდებულო	10	VIII
პრაქტიკული კომპონენტი	პრაქტიკული კურსი სტუდენტებს აცნობს ჯანმრთელობის დაცვის რეგულაციებისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის საკვანძო საკითხებს უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებების დონეზე. ისინი გადიან რა აქტიურ თემატურ პრაქტიკას, ეცნობიან სამედიცინო და ადმინისტრაციულ დოკუმენტაციის ფორმებს, ჩანაწერებს (კონფიდენციალობის დაცვით), ოპერაციულ მენეჯმენტის საკითხებს, ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს, აკეთებენ გაწეული სამუშაოს ანალიზს.	სავალდებულო	10	VIII